

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- ინგა დუმბაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

უფლებამოსილების ცნობიდან (2014 წლის 2 აგვისტო) დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

2014 წლის 5 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პროპორციული წესით „ქართული ოცნებიდან“ ამირჩიეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს, საბიუჯეტო-საფინანსო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული კომისიის და გენდერული საბჭოს წევრი. მოსახლეობასთან, ტრადიციულად, თვეში ორჯერ მაქვს შეხვედრის დღე, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები და ვეცნობი მათ პრობლემებს როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ ადგილზე.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 14 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დებულება. ვმონაწილეობდი მუდმივმოქმედი კომისიების სხდომებში.

ჩემს სახელზე შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებები ძირითადად სოციალური, ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო ხასიათისაა, მოქალაქეები ითხოვენ მკურნალობის დაფინანსებას, დასაქმებას, სწავლის დაფინანსებას, საცხოვრებელი სახლის რემონტს, ციტრუსის დროულად რეალიზაციაში დახმარებას, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას, სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას და ა.შ.

მინდა გესაუბროთ იმ მცირე ჩამონათვალზე, რომელზეც რეაგირება მოვახდინე უფლებამოსილების დღიდან დღემდე, ინიციატივებზე, რომელიც ნაწილობრივ განვახორციელე და ვიმედოვნებ მათ გაგრძელებას, სამომავლო გეგმებზე და რეკომენდაციებზე.

. ჩემს მიერ 10 მოქალაქეს პირადად გაეგზავნა წერილი მისთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით. 50-ზე მეტ მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

. 10 მოქალაქეს გავუწიე შუამდგომლობა ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძესთან.

. 3 მოქალაქე ითხოვდა სახლის გადახურვას, ჩემი შუამდგომლობა გადაგზავნილ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. სამივე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

. 5 განცხადება ეხებოდა დასაქმებას. 2 განცხადება დაკმაყოფილებულია, ჩემი რეკომენდაციით 2 ახალგაზრდა მიიღეს ბათუმში კერძო სექტორში.

. ჩემი და ცხემლისხიდის მაჟორიტარი დეპუტატის, ქალბატონ ლალი სიჭინავას, შუამდგომლობა ბაღდადის წყალთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა. გამგებლის ფონდიდან გამოიყო 3000 ლარი, რითაც რემონტი ჩაუტარდა 2 კილომეტრიან მონაკვეთს. სარემონტო სამუშაოები ჩაატარა სოფლის მოსახლეობამ.

. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების სახელზე შემოვიდა სოფელ ბაღდადის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება, მოსახლებას აქვს ხელშეკრულებები ტურისტულ კომპანიებთან, აყალიბებენ კოოპერატივებს, მოძიებული ააქვთ დაფინანსების წყაროები ანუ გრანტები აგროტურიზმის კომპონენტში. მუნიციპალიტეტისგან ითხოვენ სოფლის წყალმომარაგების დაფინანსებას. ფრაქციამ სოფლის მოსახლეობას ვუშუამდგომლეთ გამგეობასთან. გამგეობიდან ველოდებით შესაბამის რეაგირებას.

. რაც შეეხება ციტრუსების რეალიზაციას, მოგეხსენებათ, რომ წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ციტრუსის 7 მიმღები და გადამამუშავებელი საწარმო ამოქმედდა. რეალიზირებულ იქნა 15 ათასი ტონამდე ციტრუსი. დღეის მდგომარეობით გურიაში ყველაზე მსხვილი ექსპორტი ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანიიდან განხორციელდა. ქარხანა უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი, რომელიც ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს. მუშაობს ესპანური წარმოების რეცხვისა და პარაფინების ხაზი, მოქმედებაშია სამაცივრე აგრეგატები 350ტ მოცულობის. ხელმძღვანელების განმარტებით, სამომავლოდ, ამდენივე ტევადობის სამაცივრე დანადგარების დამატებას ფიქრობენ, რითაც უზრუნველყოფენ წლიდან წლამდე ყველანაირი ხილის შენახვას, რაც ტემპერატურულ მომსახურებას ითხოვს. უშუალოდ ჩემი შუამდგომლობით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე

არსებულმა ციტრუსების გადამამუშავებელმა საწარმომ ოზურგეთის მოსახლეობისაგან დროულად მიიღო გარკვეული რაოდენობის ენს ტიპის ციტრუსი, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ, არჩილ დუმბაძეს.

8) რაც შეეხება რაიონის გაზიფიკაციის პროექტებს, თქვენ იცით, რომ სოკარ-ჯორჯია გაზს აქვს საინვესტიციო ვალდებულებები. იგი ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად განიხილავს რაიონში განსახორციელებელ სტრატეგიულ პროექტებს. მზადაა ურეკის პროექტი. სავარაუდოდ, გაგრძელდება დაწყებული პროექტები- ნასაკირალი, დვაბზუ ბახვი. მე უშუალოდ მქონდა საუბარი კომპანიის წარმომადგენლებთან და ოფიციალურ ნუსხას, ოზურგეთში განსახორციელებელი პროექტების შესახებ, კომპანია სოკარი წარმოგვიდგენს მარტის თვეში.

მოსახლეობას მინდა მივაწოდო იმფორმაცია, რომ სოციალური პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსება გაორმაგდა. 16 სპეციალობაზე სწავლა უფასოა. არის პროგრამები, რომელიც ეხება: ობლებს, უდედმამოებს, ომში დაღუპული ოჯახის შვილებს და სხვა კატეგორიებს.

2015-ში ახალგაზრდობის სტიმულირების მიზნით, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს და მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი გადაწყვეტილებით, 100%-იანი გრანტის მიმღები აბტურიენტი 3000 ლარით, ხოლო სკოლა -1000 ლარით დაფინანსდება.

. ჩემი ინიციატივით იმ სოფლებსა და დაბებს, რომლებიც მოკლებული არიან კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრებს, ევროკავშირის პროექტის დაფინანსების ფარგლებში და ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით შევთავაზეთ ელექტრონული სწავლების კურსები. სწავლების ამ ფორმით ჩვენ შევეცდებით შევქმნათ თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ კომპიუტერი და თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოადგენს არა მხოლოდ გართობის ან ინფორმაციის მიღების საშუალებას, არამედ განვითარების, განათლებისა და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ახალგაზრდებისათვის. უდმესი მადლობა პროექტში მონაწილე სკოლას და მის დირექტორს, ბატონ გია მაღლაკელიძეს. იმედი გვაქვს, ჩვენი საქმიანობის შედეგებით შევძლებთ დავანახოთ მუნიციპალიტეტს ის სარგებელი, რომლის მოტანაც შეგვიძლია რაიონის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. ვფიქრობ, რომ ეს პროექტი არის გრძელვადიანი სწორი ხედვა.

მოქალაქეებთან, პრესასთან შეხვედრისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხი, თუ რატომ იწყებდა ჩვენი ხელისუფლება მუშაობას თანამდებობრივი სარგოს გაზდით, როცა მოსახლეობის უმრავლესობა სოციალურად დაუცველია და პირადად მე დაუჭირე თუ არა მხარი ამ საკითხს ?

მინდა გითხრათ, რომ მხარი დავუჭერე ხელფასების ზრდის საკითხს და რატომ? გაზრდილი ხელფასი ერთ-ერთი მოტივაციაა რაიონში დამბრუნებელი ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის. საჯარო სამსახურებს საკმაოდ სერიოზული კონკურენციის გაწევა უწევს კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან რომელიც ცდილობს კვალიფიციური კადრები წაიყვანოს და მასთან დაასაქმოს. სერიოზული კადრების გადინება ხდება საჯარო სამსახურებიდან ამიტომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სასწრაფოდ დარჩა საჭირო ამ მიმართულების დაბალანსება. ჩემს კოლეგებს მინდა უთხრა, რომ მოსახლეობა ამ საკითხს დადებითად შეხვდება ერთ შემთხვევაში თუკი ჩვენ დროის მოკლე მონაკვეთში შედეგს დავდებთ.

2015 წლის სამომავლო გეგმები.

ბაგა- ბაღების პრობლემის მოგვარება ჩვენი გუნდისათვის ნომერ პირველი პრიორიტეტი უნდა იყოს. რადგან ეს საკითხი ჩვენი შვილების, მომავალი თაობის სათანადო აღზრდის წინაპირობაა. წიგნიერი ახალგაზრდები განსაზღვრავენ ქვეყნის მომავლის წარმატებას. მოქალაქის ვალდებულებაა ქვეყნის წარმატებულობაზე ზრუნვა. როგორც ერთ ერთმა მოქალაქემ და დეპუტატმა ჩემი ინტერესი მოიცვა თუ რა ხდებოდა ამ კუთხით ჩვენი რაიონის ბაგა-ბაღებში.

პრობლემა ის არის რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში აღმზრდელებს არ მიუღიათ პროფესიული დახმარება , მხოლოდ საკუთარი ენთუზიაზმითა და კეთილსინდისიერების იმედად არიან ამ საქმეში, ამას ემატება მოუწესრიგებელი იმფრასტრუქტურა და დაბალი ხელფასები. თანამედროვე მსოფლიო კი სხვა გამოწვევებს აყენებს მათ წინაშე. კერძოდ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვების ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებს რათა შემდგომში უზრუნველეთ მათი თავდაჯერებული შესვლა სამოქალაქო ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა აღმზრდელები იცნობდნენ, იზიარებდნენ და ანხორციელებდნენ პედაგოგიკაში არსებულ სიახლეებს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ დონეზე და ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ სრულყოფაზე. განათლების პოლიტიკა მნიშვნელოვნად მიიჩნებს რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს

განვითარების ხუთწლიანების ასაკს, როცა ბავშვი ამთავრებს საბავშვო ბაღს. ეროვნული სტანდარტით 5 წლიანებში ბავშვმა უნდა გამოიმუშაოს ის უნარები და გამოცდილება რათა წარმატებულად შეძლოს 1 კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ზემოდხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამდელი განათლების სამმართველოსა და გაეროს ბავშვთა ფონდმა ერთობლივად შექმნა სასწავლო კურიკულუმი. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აღმზრდელების ტრენინგი. ეს ტრენინგები საპილოტეა, მასში ჩართულია მხოლოდ რამოდენიმე ბავშვი ცენტრიდან. აქ გამოვიყენე პირადი კონტაქტები, ვესაუბრე განათლების საერთაშორისო ექსპერტს სტეფან ფაიფერს და მისი დახმარებით ოზურგეთის რაიონის რამოდენიმე ბავშვის აღმზრდელი ჩავსვი სწავლების ამ კურსში. მე ვთანამშრომლობ აიპის ხელმძღვანელებთან რათა ერთობლივად გამოვყოთ პრობლემები და მოვიძიო მათვის შესაბამისი ტრენინგ მოდულები. გამოვიყენო ამ კუთხით დისტანციური სწავლების მოდელი.

მაქვს სასიხარულო იმფორმაცია რომ 2015 წელს იგეგმება სამი ახალი ბავშვის მშენებლობა სოფელ ბახვში, სოფელ ჭანიეთში და სოფელ ბაღდადში. რაიონის ამ კუთხეში ბავშვის დაარსებით ახალგაზრდა ოჯახებს შევუქმნით ელემენტალურ პირობებს და ვიზრუნებთ მათ სოფლებში დამაგრებაზე. მერაბ ჭანუყვაძეს და მის გუნდს წინასწარ მადლობა ამ დიდი საქმისთვის.

მოსახლეობის დაკვეთით შეიქმნა მნიშვნელოვანი პროექტი „მწერლები წიგნიერების სადარაჯოზე“, ეს პროექტი 2015 წელს განხორციელდება ჩვენს რაიონში. მინდა მოკლე მიმოხილვა გავაკეთო, რადგან ეს პროექტი რამოდენიმე სტრატეგიულ ხაზს მოიცავს.

თანამედროვე მძაფრმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ღირებულებათა ცვლამ, ყველა სფეროს ძლიერმა პოლიტიზირებამ, არასახარბიელო ეკონომიურმა პირობებმა განაპირობა ის რომ ადამიანები თავისთავად დაშორდნენ წიგნს, ლიტერატურას, თეატრს და ყველა ის სახელოვნებო სფეროს, რომელთან მჭიდრო კავშირი აუცილებელია განათლებული და დროში ინტეგრირებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. განსაკუთრებით მოსაფრთხილებლად გვეჩვენება მოზარდი თაობა და მათში თავისუფალი და დემოკრატიული ღირებულებისათვის საჭირო აზროვნების ჩამოყალიბება.

არსებული მონაცემების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა, როგორც სოციალურ კვლევებს, ასევე ზეპირ დაკვირვებას, უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, ჩვენს საზოგადოებაში საგრძნობლად დაიწია წიგნიერების დონემ. ამ

მხრივ განსაკუთრებულად რთული ვითარებაა სკოლებში. თუ დედაქალაქის სკოლებში ხვდებიან მწერლებს, რეგიონების სხვადასხვა სოფლებსა და დაბების მოსახლეობა, პედაგოგები და ბავშვები ასეთ შეხვედრებს მოკლებულნი არიან. ამ ყველაფერს ემატება მწერლების უკიდურესად მძიმე სოციალური მდგომარეობა, რის გამოც ისინი თავისი ინიციატივით ასეთი შეხვედრების უზრუნველყოფას ვერ ახერხებენ.

აღნიშნული მდგომარეობის ფონზე, ვთვლი, რომ საჭიროა განხორციელდეს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი „მწერლები წიგნიერების სადარაჯოზე“, რომელიც ჩვენი რეგიონის საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა დაწესებულებებში თანამედროვე მწერლებისა და ხელოვნების მობილური ჯგუფების შესვლას გულისხმობს. პროექტის განხორციელებით მნიშვნელოვნად აიწევს რეგიონის მაცხოვრებლების წიგნიერების დონე, მოხდება თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაცია და მწერლების დაინტერესება რეგიონში მიმდინარე პროცესებით.

პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ის ცნობილი, თანამედროვე მწერლებიც, რომელთა ვიზიტს რეგიონში ექნება საქველმოქმედო ხასიათი.

ჩვენი რაიონის კულტურის სამსახურის წარმომადგენლებს მინდა ვუთხრა, პროექტის ფარგლებში გვესტუმრებიან მწერალთა და ხელოვანთა მობილური ჯგუფები, გაგვაცნობენ თუ რა კატეგორიის მსმენელს შეხვდება თითოეული მწერალი, რა წიგნს წარადგენს, რა ლექციას შესთავაზებს, რა ტიპის ვორქშოფს ჩაატარებს. შეხვდებიან საპატიო ხანდაზმულ და უნარშეზღუდულ მოქალაქეებს. ჩვენი რეგიონის ქალაქებსა და სოფლების საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა დაწესებულებებში პროექტი ცოცხალი წიგნები შეძლებს მრავალმხრივი სარგებლის მოტანას. ჩვენი საზოგადოების წევრები იგრძნობენ ერთმანეთის რეალურ მაჯისცემას, ხასიათს, ენას. მწერალი და მკითხველი ამ შეხვედრით აღარ დარჩება ვირტუალურ ურთიერთობათა დონეზე.

საოცარი განცდა დამეუფლა როცა მითხრეს რომ გენდერული საბჭო მუშაობდა პროექტზე კიბო განაჩენი არ არის. მსგავსი ადმინისტრაციული პროექტი არ განხორციელებულა მუნიციპალიტეტების არსებობის ისტორიაში. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა როცა მუნიციპალიტეტი, მოქალაქეებს ცხოვრებისეული სიმძიმის გადატანაში ეხმარება, რათა შემდგომ ეს ადამიანები ღირსეულ პიროვნებად დაუბრუნდნენ საზოგადოებას. მაღლობა მინდა გადაუხადო მთელს ჯგუფს ვინც ამ

პროექტზე მუშაობდა, მადლობა, გამგებელ მერაბ ჭანუყვამეს ამ პროექტის მხარდაჭერისათვის.

რეკომენდაციები ჩემს გუნდს.

.აუცილებელია საზოგადოებრივი დარბაზის გააქტიურება , აქ უნდა მოვიწვიოთ კვალიფიციური და პროფესიონალი ადამიანები, ბიზნესმენები მივიღოთ მათი რჩევები და რეკომენდაციები. ჩემს ერთ-ერთ ფუნქციად იმას ვხედავ რომ, რომ ასეთი ადამიანების ხმა, რომელთა ცოდნა და გამოცდილება დაკარგული იყო, მძლავრად გაჟღერდეს საკრებულოში, რადგან საკრებულოში მაინც პოლოტიკოსებს ირჩევენ, ხოლო პოლოტიკოსებმა პროფესიონალთა რჩევა უნდა გამოიყენოს.

.დავაცნოთ საკითხი ხელისუფლებასთან, რომ ჩვენს რეგიონში გაიხსნას უმაღლესი სასწავლებლის რამოდენიმე ფაკულტეტი რათა რაიონი გამოცოცხლდეს , გაახალგაზრდავდეს, მეტი ფუნქცია მიეცეს. დარგები უნდა იყოს ტურიზმის, ენერგეტიკის, აგროსფეროს, მენეჯმენტის განხრით, რაც რეგიონს კვალიფიციურ სპეციალისტებს მიაწვდის . ჩვენს გვაქვს პრაქტიკა ოზურგეთში ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილიალის ფუნქციონირებისა. აქ კურსდამთავრებული არის ჩვენი ერთ-ერთი დეპუტატი, არაჩვეულებრივი სპეციალისტი ბაჩანა ნიჭარაძე.

ძალზე მცირეა რეგიონში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობა, რეგიონულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები საინვესტიციო პროექტების და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. რეგიონში არ ფუნქციონირებს რაიმე ქმედითი ინსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფდა საინვესტიციო პროექტების შემუშავებას, პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკების წარმოებას, უცხოელ და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის კავშირების დამყარებას. სამხარეო ადმინისტრაციას კერძოდ რეგიონული პროექტების მათვის სამსახურს ვთხოვოთ მეტი კორდინაცია, მეტი ინფორმაცია თუ რა პროექტებზე მუშაობს ის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ჩვენი რეგიონის ეკონომიკურ გუნდთან ერთად. რა შანსი გვაქვს მუნიციპალიტეტს სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსების შესაძლებლობაზე. თუ არსებობს ასეთი სტრატეგიული ხედვა , რომელიც აქვს სამხარეო ადმინისტრაციას, მოხდეს მათი მუნიციპალურ დონეზე დაყვანა, გააქტიურება, მუნიციპალიტეტის სამსახურების ჩართვა. ეს სასწრაფოა, რადგან რაიონის ცხოვრებაში ხალხის საკეთილდღეოდ უნდა მოხდეს პროგრესი. დღევანდელი საზოგადოება დულს, ითხოვს მეტ რეფორმას, მეტ დინამიკას, მეტ ოპერატიულობას.

დასასრულს მინდა ვითხრათ, რომ ამ მოკლე პერიოდმა მომცა გარკვეული გამოცდილება, მომცა შესაძლებლობა რომ მეონდა ურთიერთობა საუკეთესო ადამიანებთან, ამ რაიონის ინტელიგენციასთან, თავისი საქმის პროფესიონალებთან, გულისხმიერ პიროვნებებთან, რომლებიც გვერდით მიდგანან და გამოხატავენ ჩემდამი თანადგომას. ვიმედოვნებ რომ ჩემს გუნდთან და იმ ადამიანებთან ერთად ვისაც სიკეთის კეთება შეუძლია იმდენს კი მოვახერხებთ, რომ დაბრუნების სურვილი გაუჩინოთ იმ ადამიანებს ვინც 90 წლებში იძულებით დატოვეს რაიონი და დღეს ოჯახები მეზობლების და ბიძაშვილ-მამიდაშვილების იმედად აქვთ მიტოვებული.